



31 მარტი 2021წ.

აუდიტორული მოსაზრება

ქალთა საერთაშორისო ასოციაცია - საქართველო (ს/ნ406044659) ფინანსური მდგომარეობის და საქმიანობის შედეგების შესახებ 2020 წლის პერიოდისთვის.

შემოსავლების სამსახურში წარსადგენად



შპს „ანდრე აუდიტი“

ს/ნ 406121352

აუდიტორული ფირმების

რეესტრის #SARAS-F-934401

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, , ქ.
თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში,
დასახლება ვარკეთილი-3, მიკრო/რაიონი III
აკორპუსი 335 ბინა 126

ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი,

ყიფშიძის #12 ბ

ტელ: 577656401

ელ. ფოსტა andreauditi@gmail.com

www.andreaudit.ge

შინაარსი:

1. ინფორმაცია შემოწმების შესახებ
2. მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე
3. აუდიტორის პასუხისმგებლობა
4. მოსაზრება
5. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
6. შემოსავლების და ხარჯების ანგარიშგება
7. ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია შემოწმების შესახებ

2021 წლის 15 მარტის ხელშეკრულების შესაბამისად აუდიტორული შემოწმების განმახორციელებელმა იურიდიულმა პირმა შპს ანდრე აუდიტი-მა (ს/ნ 406121352) ჩაატარა ქალთა საერთაშორისო ასოციაცია - საქართველო-ს ფინანსური მგომარეობის ანგარიშგების და საქმიანობის შედეგების ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება 01.01.2020 დან 31.12.2020 წლის პერიოდზე.

ხელშეკრულებით შემოწმების ვადა განისაზღვრა 2021 წლის 15 მარტიდან 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით.

აუდიტი ჩაატარა დამოუკიდებელმა აუდიტორმა ზაზა მჭელიშვილმა (აუდიტორთა რეესტრში #SARAS-A-863342; პირადი ნომერი: 45001002675;).

აუდიტორული შემოწმება მიმდინარეობდა „დამკვეთი“-ს მიერ განსაზღვრულ მისამართზე: ქ. თბილისი, ყიფშიძის 12 ბ

აუდიტორულ შემოწმებაში მონაწილეობას იღებდნენ და სათანადო ახსნა განმარტებებს იძლეოდა საზოგადოების წევრი ნანა დვალი და ასოციაციის ბუღალტერი ნათია კიკილაშვილი.

2. მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების 2018 წლის 26 ივნისს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის #ნ-9 ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე პასუხისმგებელია „ასოციაციის“ მენეჯმენტი. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებას და სიტუაციისათვის შესაბამისი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაო ეყრდნობა ასოციაციის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, რომლის უტყუარობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ასოციაციის შესაბამის პასუხისმგებელ პირს.

3. აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. აუდიტი ჩატარებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. აღნიშნული სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი მოიცავს პროცედურებს აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და ახსნა განმარტებით შენიშვნებზე, კონკრეტული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორი განსჯაზე რაც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა და შეცდომებით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკის შეფასებას. რისკის ასეთი შეფასებისას, აუდიტორი განიხილავს იმ შიდა კონტროლის მექანიზმებს, რომელიც მნიშვნელოვანი და შესაფერისია ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარმოდგენისთვის, რათა დაგეგმოს არსებული პირობებისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოხატოს საკუთარი მოსაზრება ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე მოიცავს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაფერისობის შეფასებასა და მენეჯმენტის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობის, ასევე მთლიანობაში ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის შეფასებას

4. მოსაზრება

ჩვენი აზრით თანდართული ანგარიშგება შესაბამისობაშია 2018 წლის 26 ივნისს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის #ნ-9 ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტთან, რომელშიც თავის მხრივ შენარჩუნებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) ძირითადი დაშვებები და პრინციპები, ასევე აღიარებისა და შეფასების მეთოდები

აუდიტი წარიმართებოდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც თავის მხრივ მოიცავს დაცული იყოს ეთიკის მოთხოვნები და იმგვარად იქნეს დაგეგმილი და ჩატარებული აუდიტი, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისი, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

ანდრე აუდიტი:



ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია - საქართველო ფინანსური მგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები			0	0
მიმდინარე აქტივები		142575	273275	277078
მარაგები			0	1500
დებიტორები		745,17		
წინასწარ გადახდილი გადასახადები	3	8435,34	3936	1259
ავანსები (აუდიტი)			0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		133394,76	269339	274319
სულ აქტივები		142575	273275	277078
ფონდები და ვალდებულებები				
ფონდები		139821	271323	274894
შეუზღუდავი ფონდი		139820,54	271323	274894
დროებითი შეზღუდული ფონდი			0	0
მუდმივად შეზღუდული ფონდი			0	0
გრძელვადიანი ვალდებულებები			0	0
გრძელვადიანი სესხები			0	0
საპენსიო ანარიცხები			0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები		2755	1952	2184
კრედიტორები		2754,73	1952	2184
მოკლევადიანი სესხები			0	0
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი			0	0
სულ ფონდები და ვალდებულებები		142575	273275	277078

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დამტკიცებული და ხელმოწერილია

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა


Vassiliki Giannakaki

ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია - საქართველო საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისთვის

I. შეუზღუდავი ფონდების ნაწილში		2020	2019	2018
შემოსავლები				
საწევრო შენატანები		8950	23400	
საპროცენტო შემოსავლები		2607,12	2600	2600
დივიდენდები				
გრანტი				
შემოწირულობები		39263,44	122511	197661
სხვა შემოსავლები		4137,43	34999	32264
სულ შემოსავლები		54958	183510	232525
ხარჯები				
I პროექტის ხარჯი	8	169640	124678	157711
II პროექტის ხარჯი			0	
III პროექტის ხარჯი			0	
პროექტების მხარდაჭერის ხარჯი			24838	13275
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი		40	1240	
ბანკის საკომისიო		1082,84	580	338
საოფისე ხარჯი		638,83	144	5138
ხელფასები		7750	6758	4438
სოციალური (საპენსიო) ხარჯი		41,25	49	0
სასტუმროების ხარჯი	7	4248	13348	13884
აუდიტის ხარჯი		3000	5000	
წარმომადგენლობითი ხარჯი			8880	5324
სულ ხარჯები		186441	185514	200107
მთლიანი შედეგი (შემოსავლის ნამეტი/ დეფიციტი)		-131483	-2004	32418
მოგების გადასახადი			1567	4198
			0	
წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)		-131483	-3571	28220

შენიშვნა 1: ზოგადი ინფორმაცია

ქალთა საერთაშორისო ასოციაცია - საქართველო-ს სახელმწიფო რეგისტრაცია განხორციელდა 2011 წლის 09 მარტს საჯარო რეესტრის მიერ როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი 406044659. დღემდე „ასოციაციის“ სახელწოდებაა „ქალთა საერთაშორისო ასოციაცია - საქართველო“ რომლის დამფუძნებელია ნანა დვალი,

ქალთა საერთაშორისო ასოციაცია - საქართველო მოქმედებს წესდების შესაბამისად რომელიც დამტკიცებულია დამფუძნებლის 2011 წლის 28 თებერვლის #1 გადაწყვეტილებით.

ასოციაციის წევრები ორგანიზაციის წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად მოქმედებენ სრულიად უსასყიდლოდ ანაზღაურების გარეშე.

წესდებით „ასოციაციის“ მიზანია კანონის შესაბამისად:

- განახორციელოს საქველმოქმედო საქმიანობა
- დახმარება გაუწიოს საქართველოს სოციალურად დაუცველ მოსახლეობას
- დაახლოვოს საქართველოში ჩამოსული უცხოელი ქალბატონები და ქართველი ქალბატონები, დაამყაროს მათთან მეგობრული ურთიერთობები, გააცნოს და ხელი შეუწყოს ქართული და უცხოური კულტურის გაცნობას და დაახლოებას
- ყოველმხრივ ხელი შეუწყოს უცხოელ სტუმრებს რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მათ მიერ საქართველოს უკეთესად აღქმას
- თავისი მიზნების განსახორციელებლად ქალთა საერთაშორისო ასოციაცია - საქართველო ამყარებს საქმიან ურთიერთობებს ანალოგიურ ორგანიზაციებთან, იურიდიულ და კერძო პირებთან როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. მოქმედი კანონმდებლობით ქმნის საწარმოებს, სამეურნეო ანგარიშთან ორგანიზაციებს, ფილიალებს, როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთელ ორგანიზაციებთან, რომელთა შემოსავალი მოხმარდება „ასოციაციის“ მიზნების განხორციელებას.

ორგანიზაციის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა მისი წევრების საერთო კრება, რომელიც მოიწვევა მინიმუმ წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა „ასოციაციის“ გამგეობის გადაწყვეტილებით, ან წევრთა 2/3-ის მოთხოვნით გადაუდებელ საკითხების განსახილველად.

ორგანიზაციის საერთო კრება ირჩევს „ასოციაციის“ გამგეობას მინიმუმ სამი წევრის შემადგენლობით ერთი წლის უფლებამოსილების ვადით. გამგეობის წევრები შეიძლება არჩეულ იქნენ იგივე პოზიციაზე ზედიზედ სამი საარჩევნო ვადით გარდა დამფუძნებლისა, რომელიც არის გამგეობის მუდმივი წევრი. გამგეობა არის

ორგანიზაციის მმართველი ორგანო რომლის პრეზიდენტსაც ირჩევენ გამგეობის წევრები საკუთარი შემადგენლობიდან. გამგეობის სხდომები ტარდება თვეში ერთხელ მაინც რომელსაც იწვევს და უძღვება გამგეობის პრეზიდენტი

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა

- ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები

თანდართული ფინანსური უწყისები მომზადებული იქნა ანგარიშგების 2018 წლის 26 ივნისს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის #ნ-9 ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად

ორგანიზაციის პოლიტიკის მიხედვით ფინანსური ანგარიშგება მზადდება და წარედგინება პირვანდელი ღირებულების პრინციპისა და დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

პირვანდელი ღირებულების პრინციპის მიხედვით აქტივების აღრიცხვა ხდება მათი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ქვივალენტების ოდენობით, ან იმ რელური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მათი შეძენის მომენტში. ვალდებულებები აღრიცხება იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ; ზოგიერთ შემთხვევაში კი იმ თანხით, რომლის ორგანიზაციიდან გასვლა მოსალოდნელია ამ ვალდებულების დასაფარავად ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

დარიცხვის მეთოდის თანახმად სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან ისინი ტარდება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც განეკუთვნება

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- ძირითადი საშუალებები

ორგანიზაცია სააღრიცხვო პოლიტიკით ძირითადი საშუალებებს აღრიცხავს ისტორიული ღირებულებით რაც მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს.

შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულება ან აღიარდება ცალკე აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს სარგებელს და ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება შესაძლებელია. აქტივის მიმდინარე რემონტის და შენახვის დანახარჯები აისახება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდის მიხედვით

- გადასახადები:

ქალთა საერთაშორისო ასოციაცია - საქართველო წარმოადგენს არაკომერციულ ორგანიზაციას და მისი ძირითადი საქმიანობა არაეკონომიკურ ხასიათს ატარებს. მისი შემოსავლების ძირითად ნაწილს შეადგენს შემოწირულობები, საწევრო შენატანები და გრანტები შესაბამისად ამ ნაწილში მოგების გადასახადისგან გათავისუფლებია და ამ შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯებიც არ გამოიქვითება.

ორგანიზაციას წესდებით უფლება აქვს განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა, შესაბამისად ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებს ბეგრავს მოგების გადასახადით (ეს შემოსავლები მცირდება იმ ხარჯებით რომელიც მის მიღებაში მონაწილეობს).

ორგანიზაცია დღგ-ს გადამხდელისგან შეძენილ საქონელსა და მომსახურებაზე იხდის დღგ-ს თანხას, თუმცა არ ახორციელებს მის უკან დაბრუნებას ან სხვა გადასახადებში ჩათვლას და გადახდილ გადასახადს აღიარებს ხარჯად

ორგანიზაცია საშემოსავლო გადასახადით გადახდის წყაროსთან ბეგრავს ხელფასებს, ასევე წლის განმავლობაში ფიზიკურ პირებზე გაწეულ დახმარებას რომელიც აღემატება 1000 ლარს

- ფონდები:

ფონდები წარმოადგენს ორგანიზაციის ნეტო აქტივებს, რომელიც არის წევრების, შემომწირველების, სპონსორების, დონორების და სხვა პირების მიერ ორგანიზაციაში შეტანილი აქტივების, მათი სხვაგვარი ზრდისა და შემცირების შედეგი და გამოიყენება ორგანიზაციის მისიის შესასრულებლად. ფონდის გამოყენება შეიძლება იყოს შეუზღუდავი, დროებით შეზღუდული ან მუდმივად შეზღუდული.

შეუზღუდავი ფონდი - არის ორგანიზაციის ფონდების ნაწილი, რომელიც დონორის მიერ არ იზღუდება არც დროებით და არც მუდმივად.

დროებით შეზღუდული ფონდი - წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების ნაწილს რომელიც შექმნილია:

- აქტივების შენატანებით და სხვა წყაროებით, რომელთა გამოყენება ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს დონორის მიერ დაწესებული შეზღუდვით,

რომელიც იწურება დროთა განმავლობაში ან შეიძლება სხვაგვარად შესრულდეს ან გაუქმდეს ორგანიზაციის ქმედებით ამ შეთანხმების საფუძველზე;

- აქტივის სხვაგვარი გაფართოება ან შემცირებით, რომელიც ექვემდებარება ზემოაღნიშნულ შეთანხმებას; და
- ფონდების კლასიფიკაციით, რომელიც განხორციელებულია დონორთან დადებული შეთანხმებით, მისი ან ვადის გასვლის, ან შესრულების, ან ორგანიზაციის ქმედებით ამავე შეთანხმების გაუქმების საფუძველზე

მუდმივად შეზღუდული ფონდი - წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების ნაწილს, რომელიც შექმნილია:

- აქტივების შენატანებით და სხვა წყაროებით, რომელთა გამოყენება ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს დონორის მიერ დაწესებული შეზღუდვით, რომელიც არ იწურება დროთა განმავლობაში, ასევე ორგანიზაციის მიერ არ შეიძლება სხვაგვარად შესრულდეს ან გაუქმდეს.
- აქტივის სხვაგვარად გაფართოებით ან შემცირებით, რომელიც ექვემდებარება ზემოაღნიშნულ შეთანხმებას; და
- ფონდების რეკლასიფიკაციით, რომელიც განხორციელებულია დონორთან დადებული შეთანხმებით

- გრანტები

გრანტების აღრიცხვის პოლიტიკა განისაზღვრება იმისდა მიხედვით არის ეს უპირობო თუ პირობიანი გრანტი,

უპირობო გრანტი - როდესაც ორგანიზაცია გრანტის მიმღებს აძლევს ფულს (ან რაიმე აქტივს, ან უსასყიდლოდ აწვდის მომსახურებას) და მისგან არ ითხოვს არანაირი მომავალი პირობების შესრულებას, თანხების რაღაც კონკრეტული მიზნით გამოყენებას ან რაიმე პროგრამის თუ პროექტის განხორციელებას.

პირობიანია გრანტი - როდესაც ორგანიზაცია გრანტის მიმღებს აძლევს ფულს (ან რაიმე აქტივს, ან უსასყიდლოდ აწვდის მომსახურებას) და მისგან ითხოვს თანხების რაღაც კონკრეტული მიზნით გამოყენებას ან რაიმე პროგრამის თუ პროექტის განხორციელებას და შესაბამისი ანგარიშების წარმოდგენას და ამავე კონტრაქტში ჩადებულია პუნქტები, რომელთა მიხედვით, თუკი გრანტის მიმღები გრანტის პირობებს არ შეასრულებს, მაშინ გრანტის გამცემს აქვს უფლება შეაჩეროს თანხების გაცემა და/ ან მთლიანად ან ნაწილობრივ უკან დაიბრუნოს მანამდე გადახდილი თანხები.

- წარდგენის ვალუტა

ორგანიზაცია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ქართულ ლარებში, მისი საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ოპერაციები რომლებიც განხორციელებულია სხვა ვალუტით განიხილება როგორც ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

- საანგარიშგებო პერიოდი

ორგანიზაციის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი, პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო ფინანსური ანგარიშგება კეთდება წლის დამთავრდებიდან არაუმეტეს სამი თვის პერიოდში.

შენიშვნა 3: წინასწარ გადახდილი გადასახადები

ორგანიზაციას საანგარიშო პერიოდის დასაწყისში ქონდა წინასწარ გადახდილი გადასახდელები ჯამში 3921,32 ლარი, რომელიც გაიზარდა 3211,25 ლარით ბიუჯეტში გადახდილი თანხით, შემცირდა დარიცხული გადასახადებით 1411,75 ლარით და გაიზარდა 2714,52 ბარათზე არსებული სხვაობის ტანხით. შესაბამისად საანგარიშო პერიოდის ბოლოს წინასწარ გადახდილი გადასახადმა შეადგინა 3936 ლარს.

შენიშვნა 4 : მოგების გადასახადი

ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველო წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს შესაბამისად მისი ძირითადი საქმიანობით მიღებული შემოსავლები გათავისუფლებულია მოგების გადასახადით დაბეგვრისგან, თუმცა ორგანიზაცია თავისი მიზნების მისაღწევად, ფინანსური რესურსის მოსაზიდად ხშირად ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას. საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად იბეგრება საქართველოს საგადასახადო კოდექსი 97 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად.

2020 წელს მსგავსი ხარჯი არ გაუწევია

შენიშვნა 5: საპროცენტო შემოსავლები

ორგანიზაციის მომსახურე ბანკი არის სს პროგრედიტ ბანკი. ორგანიზაციას გარკვეული თანხა განთავსებული აქვს ანაბარზე საიდანაც ერიცხება პროცენტი. 2020 წლის განმავლობაში ორგანიზაციას საპროცენტო შემოსავლის სახით დაერიცხა 2607,12 ლარი

შენიშვნა 6: სხვა შემოსავლები

ორგანიზაციის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს შემოწირულობები და საწევრო შენატანები, თუმცა საქველმოქმედო ორგანიზაცია თავისი მიზნების განსახორციელებლად სახსრების მობილიზაციის მიზნით ხშირად ეწევა დამხმარე ეკონომიკურ საქმიანობას. ამ მუხლში მითითებულია ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ოდენობა ასევე არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი

შენიშვნა 7: განხორციელებული საქველმოქმედო პროექტების ხარჯი

ორგანიზაციის შემოსავლების და ხარჯების ანგარებაში მუხლი
„განხორციელებული საქველმოქმედო პროექტების ხარჯი შედგება შემდეგნაირად:

2020#02 GEL 19.600

Georgian Association for the Care of Children 's Health - Burn Center

Support of the psycho-social program in Burn Center (that treats children with burns) to develop recreational resources and educational materials for children about medical procedures as well as creating guidelines for psycho-social services in pediatric hospitals all over the country.

„საქართველოს ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის ასოციაცია“ - დამწვრობის ცენტრი ფსიქო-სოციალური პროგრამის მხარდაჭერა დამწვრობის ცენტრში (სადაც მკურნალობენ დამწვრობის მქონე ბავშვებს), რათა ბავშვებისთვის შემუშავდეს რეკრეაციული რესურსები და საგანმანათლებლო მასალები სამედიცინო პროცედურების შესახებ; ასევე - ფსიქო-სოციალური მომსახურებებისთვის გაიდლაინების შემუშავება პედიატრიულ საავადმყოფოებში მთელი საქართველოს მასშტაბით.

2020#03 GEL 6.460

Georgian Association of Women in Business

Professional training of 12 former women prisoners and probationers, producing face masks.

„საქართველოს ასოციაცია ქალი და ბიზნესი“

ყოფილი მსჯავრდებული და პრობაციონერი 12 ქალბატონის პროფესიული ტრენინგი, პირბადეების წარმოება.

2020#13 GEL 3.000

Kharagauli Education Resource Center

“Play and Teach” purchasing educational materials for kindergarten.

„ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურს ცენტრი“

„ითამაშე და ისწავლე“ მეთოდისათვის დასაწერად საბავშვო ბაღებისათვის საგანმანათლებლო მასალის შეძენა.

2020#16 GEL 10.400

Child and Environment

Specialists Training for the early intervention Service for children with disabilities.

„ბავშვი და გარემო“

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის ადრეული განვითარების პროგრამის სერვისების მისაწოდებლად სპეციალისტების გადამზადება- ტრენინგი.

2020#19 GEL 6.000

First Step Georgia

Training of parents to children with special needs to allow the children to better integrate with society.

„პირველი ნაბიჯი - საქართველო“

ტრენინგი სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა მშობლებისთვის, რათა შესაძლებელი გახდეს ბავშვთა უკეთესი ინტეგრაცია საზოგადოებაში.

2020#22 GEL 13.850

People's Harmonious Development Society

Training of 10 single mothers to become qualified, reliable care-takers who will provide practical assistance to palliative and geriatric patients.

„ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობი საზოგადოება“

10 მარტოხელა დედის ტრენინგი, რათა ისინი გახდნენ კვალიფიციური, სანდო მომვლელები, რომლებიც პრაქტიკულ დახმარებას გაუწევენ პალიატიურ და გერიატრიურ პაციენტებს.

2020#25 GEL 9.574

Georgian Down Syndrome Association

Support for kitchen equipment to train beneficiaries in cooking, baking and develop skills for future employments.

„დაუნის სინდრომის საქართველოს ასოციაცია“

სამზარეულოს აღჭურვა ბენეფიციართა ტრენინგის მიზნით. დაგეგმილია მზარეულისა და მცხობელის პროფესიონალური უნარების ჩამოყალიბება-განვითარება მომავალი დასაქმების თვალსაზრისით.

Community Projects – social grants 2020

საზოგადოებრივი პროექტები - სოციალური გრანტები

2019#37 GEL 2.950

Gumbati Learning Center

The aim of the project “Colourful hands” was to support public kindergarten in Gumbati village with provision of new toys and items for children studying and developing.

გუმბათის სასწავლო ცენტრი

2020#22 GEL 13.850

პროექტი: „ფერადი ხელები“ მიზანი იყო სოფელ გუმბათის საჯარო საბავშვო ბაღის დახმარება - სათამაშოებისა და სხვადასხვა საგნების გადაცემა ბავშვების სწავლებისა და განვითარებისათვის

2020#06 GEL 7.560,00

American Friends of Georgia

Provision of nutritious food to children receiving treatment at the M. Iashvili Children 's Central Hospital in Tbilisi, Onco-Hematology Department.

„საქართველოს ამერიკელი მეგობრები“

ნოციერი საკვების უზრუნველყოფა ბავშვებისთვის, რომლებიც მკურნალობას გადიან თბილისის მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ონკო- ჰემატოლოგიურ განყოფილებაში.

2020#08 GEL 2.600

Mercy Center / Hospice Periscvaleba

Funding of a blood pressure machine, a blood glucose monitor and a saturometer for treatment of palliative patients at home and in the center.

მოწყალების ცენტრი / ჰოსპისი „ფერისცვალება“

ტონომეტრის, გლუკომეტრისა და სატურომეტრის შეძენის დაფინანსება პალიატიური პაციენტების მკურნალობისთვის სახლში და ცენტრში.

2020#09 GEL 10.000

Elder Women Council Pankisi

In this project we supported against following problems: Youth radicalization and marginalization, domestic violence and women 's conditions.

პანკისის უხუცეს ქალთა საბჭო

ამ პროექტით, ჩვენ დავეხმარეთ მათ შემდეგი პრობლემების გადაჭრაში:
ახალგაზრდების რადიკალიზაცია და მარგინალიზაცია, ოჯახური ძალადობა და ქალთა პირობები

2020#12 GEL 3.000

Rotary Club Tbilisi Ambassador

COVID19 disaster grant – 200 food boxes were delivered to families without income because of COVID19 restrictions.

თბილისის საქმიანი კლუბი ამბასადორი

გრანტი კოვიდ 19-ის კატასტროფის წინააღმდეგ - 200 ყუთი სურსათი გადაეცა ოჯახებს, რომლებიც შემოსავლების გარეშე დარჩნენ კოვიდ 19-ის გამო
ამოქმედებული შეზღუდვების გამო

2020#15 GEL 7.650

Education Development and Employment Center – EDEC

Sensory Room in the Day Care Centre “Lampari” in Samtredia, IWA provided equipment for the creation of a sensory room.

„განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი“

სენსორული ოთახი სამტრედიის დღის ცენტრ „ლამპარში“. „ქალთა საერთაშორისო ასოციაციამ“ უზრუნველყო ინვენტარი სენსორული ოთახის მოწყობისთვის.

2020#17 GEL 9.280

Green House

The organization Green House helps children with autistic syndrome, phobias,

2020#09 GEL 10.000

logo neurosis and obsessions. IWA supported the installation of a new heating system in their building.

„მწვანე სახლი“

ორგანიზაცია „მწვანე სახლი“ დახმარებას უწევს აუტისტური სინდრომის, ფობიების, ლოგონევროზისა და ობსესიის მქონე ბავშვებს. „ქალთა საერთაშორისო ასოციაციამ“ ხელი შეუწყო შენობაში ახალი გათბობის სისტემის დამონტაჟებას.

2020#20 GEL 3.539

Parents Support

Purchase equipment for Day Care Center for disabled children.

მშობლების დახმარება

ადგიურვიილობის შეძენა ინვალიდ ბავშვთა ზრუნვის ცენტრისათვის

2020#23 GEL 11.888

Georgian Society of Clinical Oncology

IWA is supporting this project for employing 10 oncological patients to produce 3000 face masks for oncological patients, their families and other vulnerable groups throughout different regions.

„კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოება“

„ქალთა საერთაშორისო ასოციაცია“ დახმარებას უწევს ამ პროექტს ონკოლოგიური დაავადების მქონე 10 პაციენტის დასაქმებაში, რომლებიც აწარმოებენ 3000 პირბადეს ონკოლოგიური პაციენტებისთვის, მათი ოჯახებისთვის და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის სხვადასხვა რეგიონში.

Individual Projects 2020

ინდივიდუალური პროექტები

2019#40 GEL 3.000 Revaz Naurozashvili via NGO Mkurnali

Replacement of a broken entrance door and re-wiring of dangerous electricity installations in the apartment of a blind man, living with his child.

დაზიანებული შესასვლელი კარის და სახიფათო ელექტროგაყვანილობის გამოცვლა უსინათლო მამაკაცის სახლში, რომელიც შვილთან ერთად ცხოვრობს.

2020#07 GEL 572,10 Luba Tatishvili

Medicine for several diseases, among other Parkinson's disease, for a lonely old woman. სხვადასხვა დაავადების, მათ შორის პარკინსონის დაავადების, სამკურნალო მედიკამენტები მარტოხელა ხანდაზმული ქალბატონისთვის.

2020#14 GEL 4.734,20 Jana/Zhana Tukhishvili

Tomography and chemotherapy for a woman suffering from cancer.

სიმსივნით დაავადებული ქალბატონის ტომოგრაფია და ქიმიოთერაპიის კურსი.

2020#18 GEL 3000 Natela Tatishvili

In 2009 Natela was diagnosed with Systemic Sclerosis, and IWA supported medications and medical facilities.

2009 წელს ნათელას დაუსვეს სისტემური სკლეროზის დიაგნოზი, IWA-მ მხარი დაუჭირა მედიკამენტებით და სამედიცინო დაწესებულებით სარგებლობით.

2020#21 GEL 5.000 Stela Andriuk

Silicon liners for a woman who had both legs amputated.

სილიკონის საფარები ქალბატონისთვის, რომელსაც ორივე ქვედა კიდური ამპუტირებული აქვს.

2020#24 GEL 2.500 Levan Ketskhoveri

Chemotherapy for a man after rectum surgery.

სწორი ნაწლავის ოპერაციის შემდგომი ქიმიო თერაპიის კურსი მამაკაცისთვის.

2020#26 GEL 3.000 Baia Pachulia

Vojta therapy for a little girl diagnosed with cerebral palsy.

ცერებრალური დამბლის მქონე პატარა გოგონასთვის ვოიტა თერაპიის კურსი.

2020#27 GEL 1.000 Khatia Merguevi

One year pharmaceutical training for a young woman coming from difficult circumstances.

ერთწლიანი ტრენინგი ფარმაცევტული მიმართულებით ახალგაზრდა ქალბატონისთვის, რომელიც იმყოფება რთულ ფინანსურ მდგომარეობაში.

2020#28 GEL 950 Lali Bandzeladze

Medical research, tests and diagnose for young woman in Tsageri district.

ცაგერის რაიონში მცხოვრები ახალგაზრდა ქალის სამედიცინო გამოკვლევების, ტესტების და დიაგნოზის დასმის მხარდაჭერა

2020#29 GEL 800 Rusudan Tsikarishvili via Child & Environment

Vocational training of a girl from socially unprotected family

პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობა გოგონასთვის სოციალურად დაუცველი ოჯახიდან

2020#30 GEL 1000 Mariam Sichinava

IWA supported a 5 months English course for a girl from a displaced family, coming from Abchazia.

IWA-მ დააფინანსა აფხაზეთიდან დევნილი გოგონას 5თვიანი ინგლისურის შესასწავლი კურსი.

2020#31 GEL 5000 Dachi Archuadze

Cochlear implant for this small boy in Germany, doctor could not come to Georgia because of COVID-19 pandemia.

პატარა ბიჭისთვის კოხლერული იმპლანტის (სმენის იმპლანტი) ორგანიზება გერმანიაში, რადგან პანდემიის გამო ექიმმა ვერ შეძლო საქართველოში ჩამოსვლა.

2020#32 GEL 1250 Giorgi Tsotsoria

IWA financed a part of scholarship fee for a boy at Technical University Georgia

IWA-მ ნაწილობრივ დააფინანსა ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ბიჭის სწავლის გადასახადი

2020#33 GEL 860,57 Liana Gogvadze

Medication for kidney disease and chronic heart disease for an elderly woman (IDP)

თირკმლის და გულის დაავადების წამლები ხანშიშესული ქალბატონისთვის

2020#34 GEL 3000 Anastasia Vashakidze

Supporting surgery treatment to be provided in a Turkey hospital

თურქეთში ჩასატარებელი ოპერაციის მხარდაჭერა

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა


Vassilivi Yianakaki